თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3310173

ნომერი: AR1508579

თარიღი : 29.05.2017

გაცემის თარიღი : 08.06.2017

გაცნობის თარიღი : 15.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჟუჟუნა გაზდელიანი პ/ნ 01007007356
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. კორ. 12 ბ. 69

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1508579 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1499378 ელექტრონული განაცხადის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 22 ნოემბრის #2956246 ბრძანებით დამტკიცდა ქ.თბილისში, გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გლდანის I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელისახლის ასაშენებლად.

2017 წლის 1 მაისს #AR1499378 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, #01.11.12.015.193 საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3255453 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

2017 წლის 1 ივნისს #AR1510438 ელექტრონული განაცხადით სამსახურსკვლავ მომართა მოქალაქე რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.